ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №48

29 თებერვალი 2012 წ.

შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“–სთვის დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე პოლიკლინიკის შენობის მიმდებარედ ჯიხურის განთავსების მიზნით 4 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19[5] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“–ს N15/1-825 მოთხოვნის გათვალისწინებით, დუმბაძის ქუჩაზე, პოლიკლინიკის შენობის მიმდებარედ ჯიხურის განსათავსებლად 4 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით, პირდაპირი განაკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით

ვბრძანებ:

1. გადაეცეს იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში 2 წლის ვადით შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“–ს დუმბაძის ქუჩაზე, ყოფილი პოლიკლინიკის მიმდებარედ 4 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯიხურის განსათავსებლად.

2. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს დაბაში არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის ხუთმაგი ოდენობით (დაბაში 1 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასია 12 ლარი) 12 X 4 X 5 = 240 ლარი, ყოველთვიურად 20 ლარი.

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ლელა იმედაშვილს უზრუნველყოს მხარეებს შორის ხელშეკრულების მომზადება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,